ეროვნული
ბიბლიოთეკა




ფურცელი 1

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყანა შემოიარა ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულმა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა— საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა ცეკვის გამოჩენილი ოსტატების, სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ყველგან. სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ქართველ მოცეკვავეებს მიაცილებდა ოვაციების ნამდვილი გრიგალი, მილიონობით მაყურებელთა გულწრფელი აღტაცება და მხურვალე სიმპათიები.

ეს გამოფენა მოგითხრობთ ქართველი მოცეკვავეების უკანასკნელ საგასტროლო მოგზაურობაზე საზღვარგარეთ—საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში. მოგზაურობაზე, რომელიც გადაიქცა ახალ ტრიუმფად ქართველი ხალხის თვითმყოფადი, მაღალნიჭიერი ხელოვნებისა.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცეკვა „სიმდი"



ქალაქი ნიცა. აქედან დაიწყო ქართველ მოცეკვავეთა ახალი შეხვედრა საფრანგეთთან.

საფრანგეთში. ბელგიასა და ჰოლანდიაში უკვე კარგად იცნობდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის შემოქმედებას მისი წინა გასტროლებით. მით უფრო დიდი იყო ინტერესი მისი ახალი გამოსვლებისადმი. მაყურებლები მოუთმენელი ინტერესით მოელოდნენ ქართველი მოცეკვავეების ჩამოსვლას. ბილეთები კარგა ხნით ადრე იყო გაყიდული. პირველნი ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებას გაეცნენ სამხრეთ საფრანგეთის საკურორტო ქალაქების—ნიცის, კანის, ტულონის და ავინიონის მცხოვრებლები და დამსვენებლები.

ქალაქ ნიცის ერთ-ერთ ქუჩაზე






ტულონის საოპერო თეატრის შესასვლელთან გაკრული აფიშები) იუწყებიან ქართული ბალეტის კონცერტებზე.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის სამხრეთ-ხმელთაშუაზღვის ლაქვარდოვანი სანაპირო განთქმულია თავისი პირველხარისხოვანი კურორტებით. მილიონობით ადამიანი ჩამოდის აქ ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ანსამბლის ჩამოსვლის დღეს ნიცაში მიმდინარეობდა კარნავალი. მისმა ინიციატორებმა ქართველი მოცეკვავეები მიიწვიეს ყოფილიყვნენ ამ მხიარული დღესასწაულის საპატიო მონაწილენი.





ნიცის ქუჩებში კარნავალის დღეს





აზვირთებულ მხიარულებას ცეცხლოვანი ქართული ცეკვების მიემატა. „ჯეირანს" ასრულებს ნინო რამიშვილი



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი მოცეკვავე გოგონები. რომლებიც სასეირნოდ გამოსულან, მშვენიერ ხასიათზე არიან



კანი. კაფე ქუჩაში

-დიდი ინტერესით მოელოდნენ ქართველი მოცეკვავეების ჩამოსვლას კულტურული ტრადიციებით სახელგანთქმულ ქალაქ კანში. აქ გამართულ ყოველწლიურ საერთაშორისო კინოფესტივალებზე არაერთხელ ხვედრია წილად აღიარება საბჭოთა კინოხელოვნების ნაწარმოებებს.



„ხევსურული სუიტა"



მოდერნისტული ხელოვნების მუზეუმი ლია ცის ქვეშ

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცეკვა „შეჯიბრი"

პარიზი. შაიოს სასახლე

პარიზი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. საფრანგეთის დედაქალაქში შეუძლიათ შეაფასონ ნამდვილი ხელოვნება. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენი მოცეკვავეები ღელავდნენ. მაგრამ პირველმა კონცერტმა გაფანტა შიში—წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველი გამოსვლის შემდეგ დარბაზი ზანზარებდა მქუხარე ტაშისაგან. ხოლო რეპეტიციებსა და კონცერტებს შორის შესვენების დროს მოცეკვავეებს პარიზი სტუმართმოყვარულად ულებდა შესანიშნავი სასახლეების, ტაძრების, მუზეუმების კარს

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





სუვენირები ვერსალის სასახლის მოსაგონებლად

პარიზელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ქართველი მოცეკვავეების გამოსვლებისადმი. ყოველდღე ხალხით იყო გაჭედილი თეატრი „ალამბრა", სადაც მიმდინარეობდა ანსამბლის კონცერტები. რეპეტიციებისა და კონცერტებისაგან თავისუფალ დროს ანსამბლის წევრები იყენებდნენ პარიზის, მისი ღირსშესანიშნაობების გასაცნობად, პირველი ექსკურსია შედგა ვერსალში—არქიტექტორული და ისტორიული ძეგლებით ცნობილ ლუდოვიკო მეფეების ყოფილ რეზიდენციაში.



ვერსალის სასახლის ბაღში



სასახლის ერთ-ერთ დარბაზში



ლუდოვიკოების სასახლისაკენ









გული არ უთმენდა ჩვენს მოცეკვავეებს რაც შეიძლება მალე ენახათ ლუვრი—ფრანგული არქიტექტურის დიდებული ძეგლი, სადაც მოთავსებულია ეროვნული სამხატვრო მუზეუმი. 1793 წლის 8 ნოემბრიდან მოყოლებული აქეთკენ მოედინება ხელოვნების მოყვარულთა უწყვეტი ნაკადი. მოჯადოებულნი იდგნენ ქართველი სტუმრები მსოფლიო ხელოვნების უკვდავი ქმნილების წინაშე...



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







ქართველ მოცეკვავეებს დიდი სიამოვნება მიანიჭა ლუვრის მუზეუმმა, სადაც ინახება მსოფლიო ხელოვნების უამრავი ძეგლი. ანსამბლის მონაწილენი დიდხანს ჩერდებოდნენ უდიდესი ოსტატების ლეონარდო და ვინჩის, მიქელ ანჯელოსა და სხვათა უკვდავი ქმნილებების წინ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფს, რომლებზეც ლუვრის ექსპონატებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.



ბევრი დასამახსოვრებელი შეხვედრა ჰქონდა ქართველ მოცეკვავეებს პარიზში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან. გამართული გულახდილი საუბრების მთავარი თემა მუდამ იყო თანამედროვე ხელოვნების განვითარების გზები, კულტურის მოღვაწეთა მოვალეობა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების, ხალხთა დაახლოებისა და ურთიერთგაგების საქმეში.



ილიკო სუხიშვილი და ფრანგი კინომსახიობი



ილიკო სუხიშვილი და ანსამბლის სოლისტი ინგა თევზაძე ესაუბრებიან ცნობილ ქორეოგრაფ სერჟ ლიფარს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მასობრივი ცეკვა



მონმარტრი. ფრანგი მხატვრები ხატავენ ილიკო სუხიშვილის (ზევით) და მანანა აბაზაძის პორტრეტებს





შეხვედრა ფრანგული კულტურის მოღვაწეებთან პარიზის მსახიობის სახლში

გულახდილი იყო შეხვედრა ფრანგული კულტურის მოღვაწეებთან, რომელიც პარიზის მსახიობის სახლში გაიმართა. აქ შეკრებილიყვნენ კინოს და თეატრის მსახიობები, რეჟისორები. ხშირად უშუალო საუბრები წარმოიშობოდა ხოლმე უბრალოდ ქუჩებში, კაფეში, თეატრის ფოიეში. როცა ჩვენი მოცეკვავეები იყვნენ მონმარტრზე, ფრანგმა მხატვრებმა იქვე შეასრულეს საქართველოს ანსამბლის წევრთა პორტრეტები.

საქდესის ფოტოქრონიკა



ცნობილი ნოტრ-დამი — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, მისი მშენებლობა 1163 წელს დაიწყო




თეატრი „ალამბრა". აქ იმართებოდა საქართველოს ანსამბლის კონცერტები

პარიზს მოცეკვავეთა უმრავლესობა იცნობდა დიდი ფრანგი მწერლების ნაწარმოებებით. და, როცა ახლა ისინი პირადად ესტუმრნენ ქალაქს, ბუნებრივია, რომ ცდილობდნენ ენახათ ის ადგილები, სადაც მიმდინარეობდა მათთვის ბავშვობიდანვე შეყვარებული ლიტერატურული ნაწარმოებების გმირთა ცხოვრება.

მოცეკვავე შოთა ხოფერიამ კინოფირზე აღბეჭდა პარიზის ბევრი კუთხე





საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი მოცეკვავეები პარიზის ქუჩებში დადიოდნენ და აღფრთოვანებული იყვნენ საფრანგეთის დედაქალაქის სილამაზით. ყოველდღე ეცნობოდნენ ახალ არქიტექტურულ ძეგლებს, ნაგებობებს—საინჟინრო-ტექნიკური და მხატვრული აზროვნების საოცარ შეხამებას. საღამოს კი კვლავ კონცერტები, საფრანგეთის დედაქალაქის მოსახლეობის კვლავ გულწრფელი აღტაცება. ეს ურთიერთაღტაცება პარიზიდან გამომგზავრებამდე გრძელდებოდა.



ქართული ცეკვა „განდაგან". სოლისტი ფრიდონ სულაბერიძე.



ანსამბლის მონაწილენი „წმინდა გულის" ტაძართან





ქართველ მსახიობებს რა დიდი სიხარული მიანიჭა მზეთუნახავმა პარიზმა, რომელიც სენის ორივე ნაპირებზე გადაჭიმულა 20 კილომეტრზე. საფრანგეთის დედაქალაქი მოცეკვავეებს მშობლიურ თბილისს აგონებდა.

ტემპერამენტიან ფრანგებს, ნამდვილი ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებელთ, თანაბრად მოსწონდათ როგორც ცეცხლოვანი, ისე ნარნარა ქართული ცეკვები.

ეს ქალაქი რატომღაც მშობლიურ თბილისს აგონებს მოცეკვავეებს მანანა აბაზაძესა და ანზორ ნიკოლაიშვილს



ნარნარი ცეკვა



1899 წელს აგებული ეიფელის კოშკი



უღამაზესი ხიდები აერთებენ სენის ნაპირებს

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ეს სააგიტაციო მანქანა მოუწოდებს ამომრჩევლებს ხმა მისცენ კომუნისტური პარტიის კანდიდატებს



ცეკვა „შეჯიბრი"








საპირველმაისო დემონსტრაცია ბრიუსელში

ცეკვა „სამაია"



სტუმართმოყვარე პარიზიდან საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ბელგიაში გაემგზავრა. ამ ქვეყანაშიც უკვე კარგად იცნობენ ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებას მათი გამოსვლებით 1962 წელს. ბრიუსელში ქართველ სტუმართა ყურადღება მიიპყრო პოლიტიკური ცხოვრების სიმძაფრემ: გამწვავებული იყო წინასაარჩევნო ბრძოლა პოლიტიკურ პარტიებს შორის, იმართებოდა მშრომელთა მიტინგები და დემონსტრაციები.

საქდესის ფოტოქრონიკა

ანსამბლის წევრები თავისუფალ დროს მაქსიმალურად იყენებდნენ ბელგიის დედაქალაქის გაცნობისათვის. ბრიუსელისათვის, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოს დედაქალაქისათვის, დამახასიათებელია დიდი კონტრასტები. ზღაპრული სიმდიდრის გვერდით აა ნამდვილი სიღარიბე. ქალაქის ცენტრის ფეშენებელურ კვარტალებს ეკვრის ვიწრო ქუჩები, სადაც მშრომელი მოსახლეობა ცხოვრობს.




რეკლამები ბრიუსელის ქუჩებში



მინისა და ბეტონის შენობა

ანსამბლის სოლისტი გულიკო ნიჟარაძე



ყოფილი მსოფლიო გამოფენის ტერიტორიაზე. მეცნიერებისა და ტექნიკის პავილიონი „ატომიუმი"



საქდესის ფოტოქრონიკა



გასეირნება კატარღით

ბელგიიდან ანსამბლი ჰოლანდიაში გაემგზავრა. ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლებმა ამ ქვეყანაშიაც დიდი წარმატებით ჩაიარა. კონცერტებზე დასასწრებლად ჩამოდიოდნენ ამ ქვეყნის მრავალი ქალაქებიდან და ოლქებიდან, აგრეთვე ბევრი მეზობელი ქვეყნიდან. კონცერტებისაგან თავისუფალ დროს კი ავსებდა შეხვედრები და ექსკურსიები.




მთელი ანსამბლით—სასეირნოდ




ამსტერდამის ერთ-ერთ ქუჩაზე



საქდესის ფოტოქრონიკა






ქართველი მოცეკვავეები მოუთმენლად ელოდნენ ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში ჩასვლას. პირველმა კონცერტებმა მოხიბლეს ჰოლანდიის უდიდესი საზღვაო ქალაქის, დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრის მცხოვრებლები. ქართველი მოცეკვავეები კი გაოცებული იყვნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებით, მისი უძველესი ძეგლებით, მეფის სასახლით, რომელიც 13.659 ხიმინჯზე დგას.



ბაღში გასეირნება. ნინო რამიშვილი და მისი ვაჟი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ სუხიშვილი







ეროვნული ბიბლიოთეკა





ქართველი მოცეკვავეები ამსტერდამმა გააოცა შესანიშნავი ძეგლებით, დიდი ჰოლანდიელი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნაწარმოებებით. ხალხიც, რომელმაც მსოფლიო შედევრები შექმნა, გულწრფელად აღტაცებული იყო საქართველოს წარგზავნილთა ხელოვნებით. ამას მეტყველებდა მქუხარე ტაში, რაც თან ახლდა თითოეულ ცეკვას, და გულთბილი საუბრები, გაზეთების გამოძახილი.

სურათებზე: ანსამბლის მონაწილენი ათვალიერებენ ძეგლს ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




სახალხო ზეიმი კუნძულ ტექსელზე.

ჰოლანდიაში ქართველ მოცეკვავეთა ყოფნის უკანასკნელი პუნქტი იყო კუნძული ტექსელი. მღელვარებით დაადგეს მათ ფეხი ამ პატარა კუნძულზე, რომელიც ჩრდილოეთის ზღვაშია. აქ, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, აჯანყებული 600-ზე მეტი ტყვე ქართველი შეუერთდა ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს. ბევრმა მათგანმა აქ ჰპოვა უკანასკნელი სავანე.

ანსამბლის ჩამოსვლა კუნძულ ტექსელზე დაემთხვა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად კუნძულის პროგრესული ორგანიზაციების თაოსნობით ტარდებოდა სახალხო დღესასწაული, რომელსაც ქართველი მოცეკვავეებიც შეუერთდნენ.

სურათზე: ცეკვა „ჯეირანი".






საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







მღელვარებით მიაბიჯებდნენ ანსამბლის წევრები ქართველ ტყვე-ჯარისკაცთა ძმათა სასაფლაოსაკენ. სსრკ სახალხო არტისტმა ილიკო სუხიშვილმა საქართველოდან ჩამოტანილი მიწა მოაბნია ქართველ მეომართა საფლავებზე. შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელებმა, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს, ტექსელის მშრომელთა წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს ძმათა სასაფლაო.




უზარმაზარი აფიშები იუწყებიან „კავკასიის ბალეტის“ სპექტაკლებზე



ადრიანი დილაა. ანსამბლის წევრებს აინტერესებთ რას სწერენ მათზე გაზეთები?



ცეკვა „ქართული“

საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის პრესა, რადიო, ტელეხედვა ფართოდ აშუქებდნენ საქართველოს ანსამბლის გასტროლებს. გაზეთებში იბეჭდებოდა აღფრთოვანებული რეცენზიები „ხან ცეცხლოვან და ხანაც ნაზი რიტმით აღსავსე ცეკვებზე“, „თვითმყოფად ხელოვნებაზე კავკასიონის მთებიდან“. ანსამბლთან ერთად მოგზაურობაში იყო ცნობილი კინოოპერატორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ასათიანი. მან გადაიღო კიდევ ერთი დოკუმენტალური ფილმი ქართული ცეკვის ახალი ტრიუმფის შესახებ.



გიორგი ასათიანი გადაღების დროს



გამოთხოვება ფრანგ მაყურებლებთან! მომავალ შეხვედრამდე!



ხევსურული ცეკვა



ამ ბელგიელმა მუშებმა უბრალოდ ითხოვეს: ქართველ გოგონასთან— (მანანა აბაზაძე) გადაგვიღეთ სურათიო.

ძნელია მოიგონო ყველა შეხვედრა, რომელიც კი ქართველ მოცეკვავეებს ჰქონდათ ფრანგ, ბელგიელ, ჰოლანდიელ მაყურებლებთან. ვინ მოსთვლის რამდენი გულწრფელი მეგობარი ჰყავს საბჭოთა კავშირს ამ ქვეყნებში, რამდენი ახალი თაყვანისმცემელი შეემატა ჩვენი ქვეყნის დიდებულ ხელოვნებას მის ფარგლებს გარეთაც!



საქდესის ფოტოქრონიკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა









დიახ, მათ მოენატრათ სამშობლო! სამ თვენახევარზე მეტი გავიდა საგასტროლო მოგზაურობაში. რა მიმზიდველიც არ უნდა იყოს ეს მოგზაურობა, რაოდენ დიდი სიხარული არ უნდა მოჰქონდეს თვითეულ შეხვედრას საზღვარგარეთელ მაყურებლებთან, დიდი ხნით დაშორება მაინც თავისას შვრება. არა, არაფერია ამ ქვეყანაზე თავის სამშობლოზე უფრო ლამაზი და საყვარელი. ჩქარა შინისაკენ.



საქდესის ფოტოქრონიკა



სამშობლოსთან პირველი შეხვედრა მოსკოვის მიწაზე მოხდა. საჰაერო ლაინერი მალე კვლავ მოსწყდა ბეტონის ბილიკს და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. თვითმფრინავის ფრთებს იქით ჭაღარა ყაზბეგი გამოჩნდა. ძირს უკვე თბილისია. მზითაა სავსე ჩვენი დედაქალაქი. ელვარებს მისი ვერცხლის ქამარი მტკვარი. ხმლითა და ფიალით ხვდება მოსულთ „ქართლის დედა". გამარჯობა მშობლიურო ქალაქო, საყვარელო ხალხო, მიიღე თაყვანი შენი დიდებული ხელოვნების სრულუფლებიანი წარმომადგენლებისაგან.

ფურცელი 25

საქდესის ფოტოქრონიკა